



შინაარსი

	გვ.
I. ძირითადი მოვლენები .....	4
II. სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და გენერალური დირექტორის მიმართვა .....	6
III. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებით განვითარების შედეგების შესახებ .....	9
IV. საზოგადოების მდგომარეობა დარგში: ბაზარი, მარკეტინგი, გაყიდვები .....	9
V. ინფორმაცია ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მოცულობის შესახებ.....	11
VI. საზოგადოების ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები. საწარმოო საქმიანობა ...	12
საზოგადოების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები .....	12
საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა .....	13
აქტივების სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი.....	14
საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები.....	15
ელექტრული ქსელების მახასიათებლები.....	18
ავარიულობა. ტექნოლოგიური დარღვევები.....	19
შრომის დაცვის, სამრეწველო, სახანძრო და ეკოლოგიური უსაფრთხოების სისტემის რეზულტატიურობა .....	21
სს „თელასის“ ქსელზე ტექნოლოგიური მიერთებები 2021 წ. ....	22
საქმიანობა რემონტების დარგში.....	24
ელექტროენერჯის დანაკარგები ელექტრულ ქსელებში.....	25
VII. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები .....	26
VIII. საზოგადოების ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების სისტემა .....	28
IX. საინვესტიციო საქმიანობა .....	29
X. შესყიდვების საქმიანობა.....	30
XI. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკების აღწერილობა.....	31
XII. საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო რისკების, ლიკვიდურობის რისკების და ფულადი ნაკადების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ .....	34
XIII. შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა, ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებით .....	36
IV. ანგარიში საზოგადოების აქციების მიხედვით გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ.....	37
XV. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა.....	37
XVI. აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა .....	38
XVII. კორპორაციული მართვა. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა.....	39
XVIII. საზოგადოების გენერალური დირექტორი .....	41
XIX. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის 2021 წელს	42

გადახდილი ანაზღაურების განსაზღვრის კრიტერიუმები და ოდენობა .....	
XX. საზოგადოების რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემა .....	43
XXI. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.....	45
XXII. გარემოს დაცვა .....	49
XXIII. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული მართვის კოდექსის დაცვის შესახებ. ....	58
XXIV. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული ეთიკის კოდექსის დაცვის შესახებ.....	58
XXV. ცნობები საზოგადოების წმინდა აქტივების მდგომარეობის შესახებ .....	59
XXVI. დამატებითი ინფორმაცია აქციონერთათვის .....	60
XXVII. დანართი 1. კონსოლიდირებული/არაკონსოლიდირებული ფინანსური და ბუღალტრული ანგარიშგება 2021 წ. ....	61
XXVIII. დანართი 2. ანგარიში საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს დავალებების შესრულების შესახებ 2021 წელში .....	61
XXIX. დანართი 3. ინფორმაცია სს „თელასის“ არაპროფილური აქტივების რეალიზაციის შესახებ 2021 წელს .....	82
XXX. დანართი 4. ანგარიში საზოგადოების მიერ საანგარიშო წელს დადებული გარიგებების შესახებ, რომელთა განხორციელებაში არსებობს დაინტერესება .....	82
XXXI. დანართი 5 – საზოგადოების ეფექტურობის მიზნობრივი მაჩვენებლები..	97

I. ძირითადი მოვლენები

<p><b>14 მაისი</b></p>	<p>ჩატარდა საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება 2020 წელს მუშაობის შედეგების მიხედვით.</p>
<p><b>20 მაისი</b></p>	<p>საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკი) სს „თელასზე“ გასცა ლიცენზია ელექტროენერჯის განაწილებაზე. ლიცენზია გაიცა კომპანიის საქმიანობის განცალკევებასთან დაკავშირებით მიწოდებად და განაწილებად, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის საფუძველზე. ლიცენზია ელექტროენერჯის განაწილების საქმიანობაზე გაცემულია უპირობოდ და უვადო წესით, მოქმედების ვადაა 2021 წლის 1 ივლისიდან.</p>
<p><b>ივლისი</b></p>	<p>განხორციელდა სს „თელასის“ საქმიანობის განცალკევება ელექტროენერჯის განაწილებად და მიწოდებად. 2021 წლის 1 ივლისიდან საზოგადოების ფუნქციებში შედის ელექტროენერჯის განაწილება.</p>
<p><b>5 ივლისი</b></p>	<p>სარეიტინგო კომპანიამ „Fitch Ratings“ პირველად განახორციელა სს „თელასის“ შეფასება და განსაზღვრა კომპანიის გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი (B+) დონეზე, სტაბილური პროგნოზით. სს „თელასისთვის“ რეიტინგის მინიჭება განპირობებული იყო საქართველოს საფონდო ბირჟაზე 5-წლიანი ობლიგაციების დაგეგმილი განთავსებით, დაფინანსების მოზიდვის მიზნით 130 მლნ ლარის ოდენობით.</p>
<p><b>21 ივლისი</b></p>	<p>ჩატარდა საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებამ, რომელზეც მიღებული იქნა საზოგადოების წესდება ახალი რედაქციით. საზოგადოების წესდების ცვლილება დაკავშირებული იყო კომპანიის განცალკევებასთან „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.</p>
<p><b>3 სექტემბერი</b></p>	<p>სს „თელასის“ პროექტმა SAP სისტემაში ანგარიშების ახალ გეგმაზე გადასვლასთან დაკავშირებით მიიღო საერთაშორისო კონკურსის „SAP Quality Awards 2021“ სერტიფიკატი. საკონკურსო კომისიამ პროექტი შეაფასა, როგორც „უნიკალური პროექტი ტექნიკური და მეთოდოლოგიური სირთულის მიხედვით აღრიცხვის გადასაწყობად პროდუქტიულად გამოყენებულ სისტემად“.</p>

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2021

	SAP სისტემაში ანგარიშების ახალ გეგმაზე გადასვლის პროექტი სს „თელასმა“ დაიწყო 2020 წლის იანვარში.
<b>7 ოქტომბერი</b>	2021 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით 43/1 საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ დაამტკიცა „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის შესაბამისობის პროგრამა (სს „თელასი“).
<b>დეკემბერი</b>	სს „თელასმა“ მიყოლებით მესამე წელია მიიღო ჯილდო „საუკეთესო წლიური ანგარიში და გამჭვირვალება“ ნომინაციაში „მსხვილი არაფინანსური ორგანიზაციები“, რომლებიც დაშვებული არიან საქართველოს საფონდო ბირჟაზე სავაჭრო სისტემაში. ეს ჯილდო გადაეცემათ კომპანიებს, რომლებიც ფინანსურ და მმართველობით ანგარიშგებას წარადგენენ საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
<b>დეკემბერი</b>	სს „თელასი“ გადავიდა მრიცხველების ჩვენებების წაკითხვის ერთიან სისტემაზე. მრიცხველების წაკითხვა განხორციელდება თითოეული თვის ბოლო 4 კალენდარული დღის განმავლობაში.

## II. სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და გენერალური დირექტორის მიმართვა

პატივცემულო აქციონერებო,

წარმოგიდგენთ სს „თელასის“ 2021 წლის წლიურ ანგარიშს.

საქართველოში ენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე რეფორმასთან დაკავშირებით 2021 წელი მნიშვნელოვანი იყო სს „თელასისთვის“, შემდგომი მუშაობის და განვითარების ვექტორის განსაზღვრის თვალსაზრისით.

საქართველოში რეფორმის პროცესში განხორციელდა ელექტროენერჯის მიწოდების და განაწილების საქმიანობის განცალკევება და 2021 წლის 1 ივლისიდან სს „თელასი“ გახდა გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი, გადასცა რა მიწოდების ფუნქციები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „თბილისის ელექტრომიწოდებელი კომპანია“ (შპს „თელმიკოს“).

შედეგად, სს „თელასის“ საქმიანობის ძირითადი სახეობები გახდა: ელექტროენერჯის ტრანსპორტირება; ე. თბილისში ელექტროგამანაწილებელი ქსელის მომსახურება, ექსპლუატაცია, რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია და გაფართოება, ელექტროენერგეტიკული სისტემების ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. კომპანია უზრუნველყოფს ელექტროენერჯის ტრანზიტის მომსახურებას, აბონენტების ტექნიკური მომსახურების, ასევე ახორციელებს წყალმომარაგების და დასუფთავების ერთიანი ინტეგრირებული და კოორდინირებული სისტემის ადმინისტრირებას.

2021 წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო მუშაობის დასრულება კომპანიის ფუნქციების განცალკევებაზე და COVID-19 გავრცელებასთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევა.

პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების მიუხედავად, კომპანიის მენეჯმენტმა წარმატებით გაართვა თავი გამოწვევებს და კიდევ ერთხელ მოახდინა მაღალი პასუხისმგებლობის დემონსტრირება მომხმარებლებისა და აქციონერების წინაშე, ქსელის სტაბილური ფუნქციონირების და ბიზნესის განვითარების მდგრადი მაჩვენებლების შენარჩუნების უზრუნველყოფა. კომპანიის შრომითი კოლექტივისთვის შექმნილი იქნა უსაფრთხო სამუშაო გარემო, ხოლო მომხმარებლებისთვის დაინერგა დისტანციური მომსახურების პროგრამა.

კომპანიამ ასევე წარმატებით განახორციელა რიგი პროექტების რეალიზება, რომლებიც მიზნად ისახავს დედაქალაქის ელექტროქსელის საიმედოობის გაუმჯობესებას.

საინვესტიციო პროგრამის რეალიზაციის ფარგლებში, 2021 წელს სს „თელასმა“ შეასრულა ქვესადგური „ბაგების“ და ცგპ-4060 რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის სამუშაოები, ხოლო ქვესადგურში „ჩულურეთი“ დამონტაჟდა ახალი ძალოვანი ტრანსფორმატორი 1 32 მვა. ასევე ქვესადგურებში „სოლოლაკი“, „მთაწმინდა“ და „ავშნიანი“ განხორციელდა ელექტრომომარაგების საიმედოობის ამაღლების პროექტები.

კომპანიას მიერ საწარმოო და არასაწარმოო სფეროში დაბანდებული ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 42 მლნ ლარი.



2021 წელს შენარჩუნებული იქნა მომხმარებლების რაოდენობის ზრდის ტენდენცია და წლის ბოლოს ამ რიცხვმა გადააჭარბა 700 ათასს. მომხმარებელთა მომსახურება ხორციელდება საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით.

2021 წელს განაწილებული ელექტროენერჯის მოცულობამ შეადგინა 2,820 მლრდ კვტ/სთ.

კომპანია იღწვის საინფორმაციო გახსნილობის და თავისი საქმიანობის შედეგების გამჭვირვალეობის ასამაღლებლად. სს „თელასი“ უკვე მიყოლებით სამი ხდება „საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალეობის“ ჯილდოს მფლობელი ნომინაციაში „მსხვილი არასაფინანსო კომპანია“. ეს ჯილდო გადაეცემა კომპანიებს, რომლებიც წარადგენენ ფინანსურ და მმართველობით ანგარიშგებას საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

სს „თელასში“ აფასებენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციას. კომპანია თავისი თანამშრომლებისთვის უზრუნველყოფს სოციალური და სასწავლო პროგრამების ფართო სპექტრს: დანერგილია პერსონალის სწავლების სისტემა, რომლის მიზანია მუშაკების კორპორაციული და პროფესიონალური კომპეტენციების განვითარება; ხორციელდება ღონისძიებები თანამშრომლებისთვის მატერიალური დახმარების გასაწევად, შრომის უსაფრთხო პირობების, ჯანდცვის და ა.შ. უზრუნველსაყოფად.

ისევე, როგორც წინა წლებში, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა მიმართული იყო კომპანიის სტაბილურობის, მომგებიანობის და საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველყოფაზე, ასევე აქციონერთა ინტერესების დაცვაზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

ქ. თბილისის ელექტროქსელური მეურნეობის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, კომპანია მუშაობს დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვაზეც. მიმდინარე წელს სარეიტინგო კომპანიამ „Fitch Ratings“ პირველად შეაფასა სს „თელასი“ და განსაზღვრა კომპანიის გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი (B+) დონეზე, სტაბილური პროგნოზით. სს „თელასისთვის“ რეიტინგის მინიჭება განპირობებულია 5-წლიანი ობლიგაციების დაგეგმილი განთავსებით საქართველოს საფონდო ბირჟაზე, დაფინანსების მოზიდვის მიზნით.

„Fitch Ratings“-ის შეფასება კრიტიკულად მნიშვნელოვანია კომპანიის სტაბილური და ეფექტური მუშაობის დასადასტურებლად, რაც დაეხმარება სს „თელასს“ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან ფინანსური რესურსების მოზიდვაში.

2022 წელს კომპანიას დაგეგმილი აქვს განახორციელოს ქვესადგურების „სანაპირო“ და „მახათა“ რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის სამუშაოები; ახალი ძალოვანი ტრანსფორმატორის 2 32 მვა მონტაჟი ქვესადგურში „ჩუღურეთი“; ქვესადგურებში „მცირე ნავთლული“, „დინამო“ და „საბურთალო-1“ დაგეგმილია ელექტრომომარაგების საიმედოობის პროექტების განხორციელება. გარდა ამისა, ქვესადგურში „საბურთალო-1“ განხორციელდება ძალოვანი ტრანსფორმატორის 2 კაპიტალური რემონტი, ასევე განხორციელებულია 110 კვტ ელექტროგადამცემი ხაზის „მუხიანი-2“ რეკონსტრუქციის სამუშაოები.

2022 წელს ქსელის განვითარებაში დაგეგმილია ინვესტიციების დაბანდება 48 მლნ ლარზე მეტი ოდენობით.

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2021

2021 წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას იმისა, რომ მომავალ წელსაც კომპანიის მენეჯმენტი შეძლებს გადაჭრას ყველა დასახული ამოცანა და სს „თელასი“ შეინარჩუნებს მდგრად პოზიციას საქართველოს ქსელური მომსახურების ბაზარზე.

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე  
დიმიტრი ვოლკოვი

სს „თელასის“ გენერალური დირექტორი  
სერგეი კობცევი



### III. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებით განვითარების შედეგების შესახებ

სს „თელასის“ საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- საცალო და საბითუმო ბაზრებზე ელექტროენერჯის შექმნა და რეალიზაცია;
- მომხმარებელთა საიმედო და ხარისხიანი ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფა;
- საზოგადოების მაქსიმალურად ეფექტური ქსელური ინფრასტრუქტურის ორგანიზება;
- საზოგადოების პოტენციალის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა;
- ელექტრომომარაგების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- საინვესტიციო მიზიდველობის ამაღლება;
- საზოგადოების ყველა აქციონერის ინტერესების დაცვა.

2021 წელს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭომ განსზღვრა საზოგადოების საქმიანობის შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც შესრულდა ვადებში და დაცულია გადაწყვეტილებების თანახმად:

- სს „თელასის“ აქციონერთა წლიური საერთო კრების მოწვევის მომზადება, 2020 წლის შედეგების მიხედვით სს „თელასის“ აქციონერთა საერთო კრების მომზადების და ჩატარების გრაფიკის დამტკიცება;

სამეთვალყურეო საბჭო საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით საზოგადოების განვითარების შედეგებს 2021 წელს აფასებს როგორც წარმატებულს.

სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა ორგანიზებული იყო მუშაობის დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, მიმდინარეობდა გადაწყვეტილებების შესრულების რეგულარული კონტროლი. 2021 წელს ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 19 სხდომა, რომლებზეც განხილული იქნა 82 საკითხი.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მუშაობის შეფასებისას, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ყველა თავისი უფლების განხორციელების და მოვალეობების შესრულების დროს მოქმედებდნენ საზოგადოების ინტერესებში, კეთილსინდისიერად და გონივრულად, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ყველა სხდომაში.

მომდევნო წლებში სამეთვალყურეო საბჭო უპირველეს ყურადღებას დაუთმობს კორპორაციული მართვის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს, კომპანიის მომგებიანობის ამაღლებას, ასევე მომსახურების გასაღების ძირითად ბაზრებზე მდგრად, საიმედო და კონკურენტუნარიან პოლიტიკას.

### IV. საზოგადოების მდგომარეობა დარგში: ბაზარი, მარკეტინგი, გაყიდვები

„ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 2021 წლის 1 ივლისიდან სს „თელასი“ არ ახორციელებს ელექტროენერჯის მოცულობების შესყიდვას და მომხმარებელთათვის მიწოდებას. საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) მიერ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიის (სემეკ-ის გადაწყვეტილება 19/1, 2021 წლის 28 აპრილი) საფუძველზე, სს „თელასი“ მიმწოდებლებისთვის უზრუნველყოფს ელექტროენერჯის განაწილების ქსელების არადისკრიმინაციულ წვდომას. სს „თელასის“ ქსელებით

ელექტროენერჯის განაწილების ტარიფის რეგულირება ხორციელდება საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ. ელექტროენერჯის ბაზრის წესების თანახმად განაწილების ქსელებში ელექტროენერჯის დანაკარგების მოცულობების შესყიდვას სს „თელასი“ განახორციელებს ელექტროენერჯის მოცულობების საათობრივ ვაჭრობაზე საქართველოს ენერჯეტიკული ბირჟის პლატფორმაზე. გარდამავალ ეტაპზე ენერჯეტიკული ბირჟის გაშვებამდე, განაწილების ქსელებში დანაკარგების მოცულობების შესყიდვა ხორციელდება სს „საქართველოს ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ საბალანსო ბაზარზე. სემეკ-ის მიერ დადგენილი ელექტროენერჯის განაწილების ტარიფი წარმოადგენს ელექტროენერჯიაზე სამომხმარებლო ტარიფის ნაწილს, რომელსაც მომხმარებელი იხდის ელექტროენერჯის მიმწოდებლისგან მიღებული ქვითრის თანახმად.

ქვეყანაში კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) გავრცელების ფონზე, 2021 წელს ელექტროენერჯის მოხმარება წინა წელთან შედარებით მაინც გაიზარდა 7,07% (2021 წლის დეკემბერის ოპერატიული მაჩვენებლების შედეგების მიხედვით).

ძირითადი სავარაუდო ნეგატიური ფაქტორები, რომლებიც შეიძლება უახლოეს წლებში უარყოფითად აისახოს საზოგადოების განვითარების ტემპებზე, შემდეგია:

- დარგის საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების ხშირი ცვლილებები;

- ეროვნული ვალუტის მაღალი ვოლატილობა სარეზერვო ვალუტების მიმართ;

- ინფლაციის მაღალი ტემპი.

საზოგადოების ძირითადი ამოცანაა უდანაკარგო საქმიანობის უზრუნველყოფა, მოგების და მდგრადი ფულადი ნაკადების მიღება. დარგში თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სს „თელასმა“ მიიღო შემდეგი ზომები:

- ელექტროენერჯის ბაზარზე ანალიზი და პროგნოზირება;

- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, ბიზნეს-პროცესების, ამოცანებისა და მიზნების სრულყოფა, რომლებიც აკმაყოფილებს წარმატებული საქმიანობის ახალ მოთხოვნებს;

- საინფორმაციო გახსნილობა, საოპერაციო და საწარმოო საქმიანობის გამჭვირვალე სისტემის წარმოება;

- ფინანსური კონტროლის გაძლიერება და დანახარჯების შემცირების პროგრამების დანერგვა;

- შესყიდვების, სამუშაოების და მომსახურების სფეროში კონკურენტული გარემოს ფორმირება.

აღნიშნული ღონისძიებების კომპლექსის რეალიზაცია საშუალებას მისცემს სს „თელასს“ გააუმჯობესოს ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

ნეგატიური ფაქტორების წარმოქმნის შემთხვევაში, რისკების შემცირების ზომების სახით, სს „თელასის“ მართვის ორგანოები აპირებენ შემდეგი ზომების გამოყენებას:

- თავისი საქმიანობის დეტალური დაგეგმვა;

- ენერგოდამზოგი ღონისძიებების ეფექტურობის შეფასება, მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფების მიერ შესაბამისი მასალების (მოწყობილობების) გამოყენების ეკონომიკური მიზანშეწონილობის ანალიზის ჩათვლით.

V. ინფორმაცია ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მოცულობის შესახებ

2021 წელს სს „თელასის“ მიერ გამოყენებული იქნა ენერგეტიკული რესურსების შემდეგი სახეობები:

	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ღირებულება (ათასი ლარი)
1	2	3	4	5
1	ხარჯები ნაყიდ ელექტროენერგიაზე	ათასი კვტ*სთ	1 447 282	238 966
1.1	ნაყიდი ელექტროენერგია	ათასი კვტ*სთ	1 360 106	182 873
1.2	გადაცემა და დისპეტჩერიზაცია	ათასი კვტ*სთ	-	41 468
1.3	ელექტროენერგიის დანაკარგების ყიდვა	ათასი კვტ*სთ	87 176	14 626
2	ელექტროენერგიის რეალიზაცია და ტრანზიტი, სულ –	ათასი კვტ*სთ	2 961 775	398 348
	მათ შორის:			
2.1	- გაყიდვა	ათასი კვტ*სთ	1 363 318	292 310
2.2	- ტრანზიტი	ათასი კვტ*სთ	228 772	8 605
2.3	- განაწილება	ათასი კვტ*სთ	1 369 685	97 433
3	სულ, ბენზინი და სატრანსფორმატორო ზეთი:	ათასი კგ	<b>609.32</b>	<b>1,251.10</b>
		ათასი კგ	<b>217.34</b>	<b>212.49</b>
3.1	საავტომობილო ბენზინი	ათასი ლიტრი	<b>238.95</b>	<b>496.54</b>
3.1.1	ბენზინი „პრემიუმ- ავანგარდი“ (110001665)	ათასი ლიტრი	238.95	496.54
3.2	დიზელის საწვავი „ევრო“ (110001666)	ათასი ლიტრი	<b>370.37</b>	<b>754.56</b>
3.3	სატრანსფორმატორო ზეთი (110004916)	ათასი კგ	<b>70.77</b>	<b>198.12</b>
3.4	სატრანსფორმატორო ზეთი (რომელიც საჭიროებს აღდგენას), კგ (110001295)	ათასი კგ	<b>146.57</b>	<b>14.36</b>

**VI. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.  
საწარმოო საქმიანობა. საზოგადოების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები**

საზოგადოების ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკა შეიძლება დახასიათებული იქნას შემდეგნაირად:

ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები	2020 წელი გადათვლილი*	ათასი ლარი	
		2021 წელი	% წელი
ამონაგები	124 521	181 928	46
სხვა შემოსავლები	20 969	23 884	14
შესყიდული ელექტროენერგია	(18 369)	(17 476)	(5)
შრომის ანაზღაურება და მუშაკების სხვა ანაზღაურება	(59 202)	(59 529)	1
ცვეთა და ამორტიზაცია	(15 135)	(16 055)	6
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(5 080)	(8 016)	58
რეზერვები აღდგენილი და ფორმირებული, ნეტო	4 801	319	(93)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(19 398)	(20 787)	7
<b>საოპერაციო მოგება</b>	<b>33 107</b>	<b>84 268</b>	<b>154</b>
ფინანსური შემოსავლები	543	718	32
ფინანსური ხარჯები	(11 430)	(13 418)	17
(ზარალი)/შემოსავალი კურსის სხვაობის შედეგად, ნეტო	(424)	87	(121)
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	<b>21 796</b>	<b>71 655</b>	<b>229</b>
ხარჯები მოგების გადასახადზე	-	-	-
<b>მოგება წლის განმავლობაში</b>	<b>21 796</b>	<b>71 655</b>	<b>229</b>
სხვა ერთიანი (ზარალი)/შემოსავალი, რომელიც არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას მოგებისა და ზარალის შემადგენლობაში შემდგომ პერიოდებში (ფასს 5 ეფექტი)	(94 742)	(15 804)	(83)
აქტუარული (ზარალი)/შემოსავლები დადგენილი გადახდების მქონე საპენსიო პროგრამიდან	52	18	(65)
ზემოქმედება მოგების გადასახადზე	-	-	-
<b>სხვა ერთიანი (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში, დაბეგვრის გამოკლებით</b>	<b>52</b>	<b>18</b>	<b>(65)</b>
<b>სულ ერთიანი შემოსავალი წლის განმავლობაში</b>	<b>(72 894)</b>	<b>55 869</b>	<b>177</b>
საბაზო და განზავებული მოგება აქციაზე	(0.00065)	0.00050	177

\* გადათვლილი მონაცემები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის გათვალისწინებით (ფასს 5)

საზოგადოების საქმიანობის ძირითადი სახეობა 2021 წლის 1 ივლისამდე იყო მომხმარებელთა მომარაგება და ქსელური მომსახურებების გაწევა (ელექტროენერგიის

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2021

გადაცემა) ქ. თბილისში. 2021 წლის 01 ივლისიდან განხორციელდა ენერგოკომპანიის მიწოდების და განაწილების ფუნქციების განცალკევება, შედეგად, სს „თელასის“ საქმიანობის ძირითადი საქმიანობა გახდა ქსელური მომსახურება (ელექტროენერჯის გადაცემა) ქ. თბილისში. საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

ამონაგებმა ელექტროენერჯის რეალიზაციიდან 2021 წელს შეადგინა 181 928 ათასი ლარი, რაც 57 407 ათასი ლარით მეტია 2020 წელთან შედარებით, ელექტროენერჯის განაწილების და ტრანზიტის ტარიფის მოცულობის ზრდის გამო.

### საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა

მაჩვენებლები	ათასი ლარი		
	2020 წელი	2021 წელი	ცვლილების %
<b>აქტივები</b>			
არასაბრუნავი აქტივები	305 115	332 576	9
საბრუნავი აქტივები	60 932	57 356	(6)
სულ აქტივები	366 047	389 932	7
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>			
კაპიტალი	122 029	177 898	46
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>			
პროცენტუანი კრედიტები, სესხები და თამასუქები	12 150	33 390	175
სასამართლო სარჩელების რეზერვები	1 179	1 410	20
ანაზღაურებები შრომითი საქმიანობის დასრულებისას	2 236	2 407	8
სახელმწიფო სუბსიდიები	220	135	(39)
საიჯარო ვალდებულებები	1 211	921	(24)
სხვა ვალდებულებები	845	991	17
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>17 841</b>	<b>39 254</b>	<b>120</b>
<b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>			
პროცენტუანი კრედიტები, სესხები და თამასუქები	45 265	28 894	(36)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	137 777	97 319	(19)
სახელშეკრულებო ვალდებულებები	20 375	1 794	(91)
მიღებული ავანსები	7 060	9 316	32
სახელმწიფო სუბსიდიები	157	160	2
ანაზღაურებები შრომითი საქმიანობის დასრულებისას	116	134	16
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები	13 295	968	(93)
საიჯარო ვალდებულებები	811	932	15
სასამართლო სარჩელების რეზერვები	1 154	1 445	25
გადასახადების რეზერვი	–	17 399	100
გადასახდელი დივიდენდები	63	61	(3)
სხვა ვალდებულებები	104	95	(8)
ვალდებულებები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საქმიანობის შეწყვეტასთან	–	14,263	100



## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2021

სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	226 177	172 780	(24)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	366 047	389 932	7

საზოგადოების არასაბრუნავი აქტივები გაიზარდა 27 461 ათასი ლარით, ძირითადი საშუალებების ზრდის შედეგად.

საზოგადოების საბრუნავი აქტივები შემცირდა 3 576 ათასი ლარით, ძირითადად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების და სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შემცირების შედეგად, იმის გამო, რომ 2021 წლის 01 ივლისიდან განხორციელდა ენერგოკომპანიის მიწოდების და განაწილების ფუნქციების განცალკევება, სს „თელასის“ საქმიანობის ძირითადი სახეობა გახდა ქსელური მომსახურება (ელექტროენერჯის გადაცემა) ქ. თბილისში.

### საზოგადოების აქტივების სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი

2021 წლის ბოლოს სს „თელასის“ აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 389 932 ათასი ლარი. აბსოლუტურ გამოხატულებაში საანგარიშო წლის განმავლობაში აქტივების სიდიდე გაიზარდა 23 885 ათასი ლარით, ძირითადად, ძირითადი საშუალებების ზრდის ხარჯზე. 2021 წ. ბოლოს არასაბრუნავი აქტივების წილი გაიზარდა 27 461 ათასი ლარით, ძირითადად, ძირითადი საშუალებების ზრდის ხარჯზე და შეადგინა 332 576 ათასი ლარი, საბრუნავი აქტივები შემცირდა 3 576 ათასი ლარით და შეადგინა 57 356 ათასი ლარი, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების და სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შემცირების შედეგად.

#### საზოგადოების ლიკვიდურობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	31.12.2020	31.12.2021
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.01	0.01
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.24	0.30
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.27	0.33

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2021 წლის შედეგების მიხედვით არ არის შეცვლილი. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტმა, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგინა 0.30. ამ მაჩვენებლის ზრდა გამოწვეულია დებიტორული დავალიანების უფრო მცირე ხარისხით შემცირებით, ვიდრე მოკლევადიანი ვალდებულებების შემცირება (დავალიანება ე/ე შესყიდვაზე).

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაიზარდა 0.27-დან 0.33-მდე. მოცემული მაჩვენებელი ახასიათებს საწარმოს უნარის ამაღლებას განხორციელოს ანგარიშსწორება მიმდინარე ვალდებულებების შესაბამისად. მაჩვენებლის ზრდა ასევე განპირობებულია დებიტორული დავალიანების შემცირებით უფრო მცირე ოდენობით, ვიდრე მოკლევადიანი ვალდებულებების (დავალიანება ე/ე შესყიდვაზე) შემცირება.



**საზოგადოების რენტაბელობის მაჩვენებლები**

მაჩვენებელი	31.12.2020	31.12.2021
გაყიდვების რენტაბელობა	(13.3%)	21.5%
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE)	(59.8%)	31.4%
ერთიანი აქტივების რენტაბელობა (ROA)*	(19.9%)	15.0%

\*მაჩვენებლის უერთობლივი აქტივების რენტაბელობა“ გასაანგარიშებლად გამოიყენება მაჩვენებლის „სულ აქტივები“ მნიშვნელობა შესაბამისი წლის<sup>31</sup> დეკემბრის მდგომარეობით.

გაყიდვების რენტაბელობის მაჩვენებლის ზრდა გამოწვეულია საზოგადოების მიერ განხორციელებული გაყიდვებიდან მოგების მიღებით. მოგებამ 2021 წელს შეადგინა 55 869 ათასი ლარი, 2020 წლის 72 894 ათასი ლარის ზარალთან შედარებით. წლის განმავლობაში მაჩვენებლის ზრდა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ 2021 წლის 01 ივლისიდან განხორციელდა ენერჯოკომპანიის მიწოდების და განაწილების ფუნქციების განცალკევება.

**საზოგადოების ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები**

მაჩვენებელი	31.12.2020	31.12.2021
ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი	0.33	0.46
სასესხო და საკუთარი სახსრების ფარდობა	2.00	1.19

2021 წელს ბალანსის ვალუტაში საკუთარი კაპიტალის წილი (ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი) გაიზარდა და შეადგინა 0,48.

საზოგადოების სასესხო და საკუთარი კაპიტალის ფარდობა შემცირდა და შეადგინა 1,19 ლარი (საკუთარი კაპიტალის ერთ ლარზე მოდის სასესხო კაპიტალის 1,19 ლარი), კაპიტალის ზრდის შედეგად.

მაჩვენებლები გაანგარიშებულია ფასს სტანდარტების შესაბამისად ანგარიშგების მონაცემების თანახმად, საზოგადოების აუდიტორის EY Georgia LLC მიერ გაცემულია აუდიტორული დასკვნა საზოგადოების 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**საზოგადოების საქმიანობის საწარმოო მაჩვენებლები**

საზოგადოების ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების დინამიკა 2021 წელს შეიძლება დახასიათებული იქნას შემდეგნაირად:

საწარმოო მაჩვენებლები	2020 წელი	2021 წელი	% ცვლილება
ნაყიდი ელექტროენერგია, მლნ კვტ *სთ	2 635	1 360 *	(48)
- დანაკარგები გადაცემისას, მლნ კვტ*სთ	-	-	-
ქსელში მიღება (გაშვება), მლნ კვტ*სთ	2 635	2 820	7
- ქსელებში ელექტროენერგიის დანაკარგები, მლნ კვტ*სთ	(158)	(87)	(45)
ელექტროენერგიის სასარგებლო გაშვება, მლნ კვტ*სთ	2 477	2 733	10
დანაკარგების მაჩვენებელი %	6.01%	3.09%	(49)

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2021

\*იმის გამო, რომ 2021 წლის 01 ივლისიდან სს „თელასმა“ შეწყვიტა მიწოდების ფუნქცია და ახორციელებს მხოლოდ ელექტროენერჯის განაწილებას, ნაყიდი ელექტროენერჯის მაჩვენებელი წარმოდგენილია მხოლოდ 2021 წლის 6 თვის შედეგების მიხედვით.

სს „თელასში“ ელექტროენერჯის საერთო დანაკარგების ფაქტობრივი მაჩვენებლების შედარების 2020-2021წწ. დადგენილი შემცირება 49%-ით. დანაკარგების შემცირება განპირობებულია აღრიცხვის ხელსაწყოებიდან მონაცემების აღებასთან დაკავშირებით მოთხოვნების ცვლილებასთან. სემეკ-ის 2021 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით 51 სს „თელასი“ დეკემბერში გადავიდა აღრიცხვის ხელსაწყოებიდან ჩვენებების 4 დღიან აღებაზე. ამასთან დაკავშირებით, დეკემბერში 4 კალენდარული დღის განმავლობაში 28-დან 31 დეკემბრის ჩათვლით განხორციელდა მრიცხველების წაკითხვა კომერციული ციკლის გეგმის მიხედვით.

### ელექტროენერჯის გაყიდვების საერთო მოცულობის სტრუქტურა

		(ათასი ლარი)				
1	დასახელება	2020 წელი	2021 წელი			
			გეგმა	ფაქტი	გადახრა	
					(+/-)	%
2	3	4	5	6	7	
1	რეალიზაცია მოსახლეობასა და მასთან გათანაბრებულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე	156 154	208 900	92 406	(116 494)	(56%)
2	რეალიზაცია საბიუჯეტო საწარმოებზე შიდა ბაზარზე	22 368	38 480	17 882	(20 598)	(54%)
3	რეალიზაცია კომერციულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე	219 145	376 067	177 283	(198 784)	(53%)
4	სხვა რეალიზაცია შიდა ბაზარზე	7 428	9 868	4 739	(5 129)	(52%)
	<b>სულ გაყიდვები</b>	<b>405 096</b>	<b>633 315</b>	<b>292 310</b>	<b>(341 005)</b>	<b>(54%)</b>

2021 წელს გაყიდვების შემცირება 341 005 ათასი ლარის ოდენობით, 2021 წლის გეგმიურთან შედარებით, განპირობებული იმ ფაქტით, რომ 2021 წლის 1 ივლისიდან სს „თელასმა“ შეწყვიტა მიწოდების ფუნქციის განხორციელება და დაკავებულია მხოლოდ ელექტროენერჯის განაწილებით.


ელექტროენერჯის მოხმარების სტრუქტურა აბონენტების კატეგორიების მიხედვით 2020 – 2021 წწ.

(მლნ კვტ\*სთ)

1	დასახელება	2020 ნახევარი წელი	2021 (ნახევარი წელი)			
			გეგმა	ფაქტი	გადახრა	
					(+/-)	%
2	3	4	5	6	7	
1	რეალიზაცია მოსახლეობასა და მასთან გათანაბრებულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე	499.24	521.84	529.4	7.57	1.5%
2	რეალიზაცია საბიუჯეტო საწარმოებზე შიდა ბაზარზე	68.96	75.82	74.34	(1.48)	(2%)
3	რეალიზაცია კომერციულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე	657.64	738.45	733.27	(5.17)	(0.7%)
4	სხვა რეალიზაცია შიდა ბაზარზე	22.15	23.93	26.31	2.38	9.9%
	<b>სულ, გაყიდვები შიდა ბაზარზე</b>	<b>1247.99</b>	<b>1360.03</b>	<b>1363.32</b>	<b>3.29</b>	<b>0.2%</b>
5	ელექტროენერჯის რეალიზაცია ექსპორტზე	-	-	-	-	-
	<b>სულ, გაყიდვები</b>	<b>1247.99</b>	<b>1360.03</b>	<b>1363.32</b>	<b>3.29</b>	<b>0.2%</b>

ცხრილში მოცემულია ნახევარი წლის მონაცემები, ვინაიდან 2021 წლის 01 ივლისიდან სს „თელასმა“ შეწყვიტა მიწოდების ფუნქცია და ახორციელებს მხოლოდ ელექტროენერჯის განაწილებას.

ელექტროენერჯის მოხმარების სტრუქტურა აბონენტების კატეგორიების მიხედვით 2021 წ.



- რეალიზაცია მოსახლეობასა და მასთან გათანაბრებულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე
- რეალიზაცია საბიუჯეტო საწარმოებზე შიდა ბაზარზე
- რეალიზაცია კომერციულ მომხმარებლებზე შიდა ბაზარზე
- სხვა რეალიზაცია შიდა ბაზარზე

ელექტრული ქსელების დახასიათება

	დასახელება	განზომილების ერთეული	მაჩვენებლები 2020 წ.	მაჩვენებლები 2021 წ.
1	2	3		4
<b>1</b>	<b>ეგხ-ს საერთო სიგრძე, სულ</b>	<b>კმ</b>	<b>6098.26</b>	<b>6390</b>
	მათ შორის:			
<b>1.1</b>	<b>საჰაერო ეგხ (ჯაჭვების მიხედვით), სულ</b>	<b>კმ</b>	<b>2341.1</b>	<b>2422.3</b>
	მათგან:			
1.1.1	- ძაბვის დონე 110 კვ	კმ	249.6	249.6
1.1.2	- ძაბვის დონე 35 კვ	კმ	88.8	88.6
1.1.3	- ძაბვის დონე 10 კვ	კმ	112.9	148.9
1.1.4	- ძაბვის დონე 6 კვ	კმ	196.8	212.1
1.1.5	- ძაბვის დონე 500 ვოლტი და ნაკლები	კმ	1693	1723.1
<b>1.2</b>	<b>საკაბელო ეგხ, სულ</b>	<b>კმ</b>	<b>3757.16</b>	<b>3967.76</b>
	მათ შორის:			
1.2.1	- ძაბვის დონე 35 კვ	კმ	101.56	101.56
1.2.2	- ძაბვის დონე 10 კვ	კმ	367	376.6
1.2.3	- ძაბვის დონე 6 კვ	კმ	1378.7	1387.5
1.2.4	- ძაბვის დონე 500 ვოლტი და ნაკლები	კმ	1909.9	2102.1
<b>2</b>	<b>მადაბლებელი ქვესადგურები 35-110 კვ</b>			
2.1	ქვესადგურების რაოდენობა, სულ	ცალი	36	36
	მათ შორის:			
2.1.1	მადაბლებელი ქვესადგურები 35/6 -10 კვ	ცალი	13	13
2.1.2	მადაბლებელი ქვესადგურები 110 კვ	ცალი	23	23
2.2	საერთო დადგმული სიმძლავრე	მვა	1698.6	1720.6
	მათ შორის:			
2.2.1	მადაბლებელი ქვესადგურები 35/6 -10 კვ	მვა	405.6	427.6
2.2.2	მადაბლებელი ქვესადგურები 110 კვ	მვა	1293	1293
<b>3</b>	<b>სატრანსფორმატორო ქვესადგურები 10/6/0,4 კვ</b>			
3.1	ქვესადგურების რაოდენობა	ცალი	<b>2124</b>	<b>2191</b>
3.2	საერთო დადგმული სიმძლავრე	მვა	<b>1511.8</b>	<b>1558.1</b>
	მათ შორის:			
	კომპლექტური	ცალი	511	556
		მვა	293	323.9
	დახურული	ცალი	1613	1635
		მვა	1218.8	1234.2

2020 წელთან შედარებით 2021 წელს 291,74 კმ (4.78%) გაიზარდა ეგხ-ს სიგრძე, ზრდა, ძირითადად, განპირობებულია ეგხ-ს სიგრძის დაზუსტებით ინვენტარიზაციის და ქსელის გაფართოების შემდეგ ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთების პროექტების შესრულების ფარგლებში, ასევე რეზერვირების მიზნით ეგხ-ების მშენებლობის პროექტის შესრულებით.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს ახალი მომხმარებლების ქსელზე მიერთების პროექტების რეალიზაციის და კერძო მესაკუთრეების მიერ სქ საზოგადოების საკუთრებაში გადაცემის ფარგლებში, გაიზარდა 6(10)-0.4 კვ სატრანსფორმატორო ქვესადგურების რაოდენობა 67 ერთ. (3.15%), რამაც დადგენილი სიმძლავრე გაზარდა 46.3 მვა (3.06%).

### ავარიულობა. ტექნოლოგიური დარღვევები

2021 წელს სს „თელასის“ 110/35/10/6 კვ ძაბვის კლასის ელექტრული ქსელების მუშაობაში სულ მოხდა 1548 ტექნოლოგიური დარღვევა, რაც 2.4% ნაკლებია 2020 წელთან შედარებით (1587 შემთხვევა). მოწყობილობების დაზიანებით ტექნოლოგიური დარღვევები 2021 წ. დაფიქსირებულია რაოდენობით 1387 შემთხვევა, რაც 5.8% მეტია, ვიდრე 2020 წელს (1310 შემთხვევა). ელექტროენერჯის არასაკმარისმა გაშვებამ 2021 წელს შეადგინა 1 328.6 ათასი კვტ.\*სთ, რაც 40% ნაკლებია გასულ წელთან შედარებით (2220 ათასი.კვტ\*სთ).

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ცნობები 110/35/10/6 კვ ქსელში ელექტრომოწყობილობების მუშაობაში ტექნოლოგიური დარღვევების შესახებ, მომხმარებლებისთვის ელექტრომომარაგების საიმედოობის მაჩვენებლების SAIDI და SAIFI შესაბამისად სს „თელასის“ ქსელში გეგმიური და არაგეგმიური წყვეტების მიხედვით (2020-2021წწ.).

SAIDI და SAIFI მაჩვენებლების ზრდა შიდა გეგმიური და არაგეგმიური წყვეტების მიხედვით გამოწვეულია ქსელში გეგმიური წყვეტებით. ქვემოთ მოცემული მონაცემებიდან ჩანს, რომ არაგეგმიური წყვეტების აღნიშნული მაჩვენებლები გაუმჯობესებულია გასულ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

	მაჩვენებლის დასახელება	გან. ერთეული	2020 წელი	2021 წელი	გადახრა	
					(+/-)	%
1	ტექნოლოგიური დარღვევები სულ ქსელში 110/35/10/6 კვ	ერთ.	1587	1548	(-39)	(-2.4)%
2	ტექნოლოგიური დარღვევები მოწყობილობების დაზიანებით ქსელში 110/35/10/6 კვ	ერთ.	1310	1387	(+77)	(+5.8)%
3	გათიშვების საშუალო ხანგრძლივობის ინდექსი SAIDI-ის სისტემის მიხედვით – შიდა გეგმიური და არაგეგმიური წყვეტების მიხედვით. მათ შორის:	საათი/აბონენტი	8.06	9.88	(+1.82)	(+22.5)%
3.1	შიდა გეგმიური წყვეტების მიხედვით	საათი/აბონენტი	3.95	6.45	(+2.5)	(+63.3)%
3.2	შიდა არაგეგმიური წყვეტების მიხედვით	საათი/აბონენტი	4.11	3.43	(-0,68)	(-16.5)%
4	გათიშვების სიხშირის ინდექსი	ერთ.	5.75	5.89	(+0.14)	(+2.43)%

	SAIFI-ის სისტემის მიხედვით – შიდა გეგმიური და არაგეგმიური წყვეტების მიხედვით. მათ შორის:					
4.1	შიდა გეგმიური წყვეტების მიხედვით	ერთ.	1.68	2.66	(+0.98)	(+58.33)%
4.2	შიდა არაგეგმიური წყვეტების მიხედვით	ერთ.	4.07	3.23	(-0.84)	(-20.64)%
5	ელექტროენერჯის არასაკმარისი გაშვება	ათასი კვტ*სთ	2220	1328.6	(-891.4)	(-40%)
6	ეკონომიკური ზარალი ელექტროენერჯის არასაკმარისი გაშვებიდან	ათასი კვტ*სთ	101.7	60.86	(-40.84)	(-40) %

2021 წელს ტექნოლოგიური დარღვევების შემცირების და საიმედოობის მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა ღონისძიებები, რომლებიც წინა წლებთან შედარებით 2022 წელს მაჩვენებლების გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ:

- საიმედოობის ფაქტორის გათვალისწინებით განხორციელდა სარემონტო სამუშაოების სრულყოფა (წარმოებს ტექნიკური ზედამხედველობა კაპიტალური რემონტის შემდეგ სამუშაოების მიღების დროს, ქსელის მომსახურება მიმდინარეობს გეგმიურად და ყველა საჭირო ტექნოლოგიური პროცესების დაცვით);
- ხორციელდება ღია და დახურული გამანაწილებელი მოწყობილობების ნაწილობრივი და კომპლექსური რეკონსტრუქცია;
- განხორციელდა სარემონტო სამუშაოების სისტემის ორგანიზების სრულყოფა გეგმიური გათიშვების რაოდენობის შემცირების მიზნით, SAP ERP სისტემის პროგრამული მოდულის გამოყენებით. ამჟამად, სარემონტო სამუშაოების დაგეგმვა წარმოებს საწარმოს რესურსების დაგეგმვის სისტემის SAP ERP მოდულის გამოყენებით;
- კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით წარმოებს ოსტატების და საკაბელო ტრასების შემომვლელების (მონტიორების), ეგზ და ქს-ების მომსახურე პერსონალის სწავლება, მათ შორის 3D-ტრენაჟორის ბაზაზე და სპეციალიზირებული კომპანიების მოზიდვით;
- სს „თელასის“ საწყობში ახალი მტრ-ს მიღების ხარისხის კონტროლისთვის მათი სს „თელასის“ საწყობში მიღება ხორციელდება ცალკე შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ;
- ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ მიმდინარეობს როგორც მენარდეების, ისე საკუთარი პერსონალის ძალებით შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი;
- დაბალმომური რეზისტორის საშუალებით ხორციელდება ნეიტრალის დამიწების პროექტი, რაც ქს-ში ფიდერების კასკადური გათიშვების შემცირების და საიმედოობის ამაღლების შესაძლებლობას იძლევა;
- იცვლება ძველი მექანიკური სდა-ს მოწყობილობები სდა-ს უფრო თანამედროვე ციფრული მიკროპროცესორული მოწყობილობებით.



**შრომის დაცვის, სამრეწველო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების რეზულტატიურობა**

2021 წლის განმავლობაში საზოგადოების შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების განყოფილების ძალებით განხორციელდა საორგანიზაციო-ტექნიკური, საინფორმაციო-მეთოდური, საზედამხედველო და პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი ელექტრული ქსელების ყველა ძაბვის კლასის ობიექტზე, რაც მიზნად ისახავდა ხანძრების, ავარიების და სხვა ტექნოლოგიური დარღვევების თავიდან აცილებას, მოწყობილობების და პერსონალის საექსპლუატაციო საიმედოობის გაზრდას, ავარიულობის და ტრავმატიზმის შემცირებას. ელექტროქსელური ობიექტების შემოწმებების შეჯერებული მონაცემები მოყვანილია ცხრილში:

	ცნობები შემოწმებების შესახებ	2020 წელი	2021 წელი
1	ობიექტების შემოწმების საერთო რიცხვი	3689	3768
2	მიწერილობების რაოდენობა	1478	1462
3	ღონისძიებების რაოდენობა მიწერილობებში	4055	3631
	მათ შორის:		
3.1	შესრულებული	4055	3566
3.2	ღონისძიებები, რომელთა ვადა გადატანილია	0	65

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საზოგადოების ქვედანაყოფებში ხორციელდებოდა საყოველთაო შემოწმებები პერსონალის მიერ შრომის დაცვის და სამრეწველო უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვის ნაწილში. შემოწმების შედეგების მიხედვით ტარდებოდა ანალიზი, ვლინდებოდა ტრავმასაშიში სიტუაციები და ფაქტორები, მუშავდებოდა ღონისძიებები მათ აღსაკვეთად.

**ინფორმაცია საწარმოო ტრავმატიზმის მაჩვენებლების დინამიკის შესახებ (ხუთი წლის განმავლობაში).**

წელი	ორგანიზაცია	უბედური შემთხვევა	მიზეზები
2017	სს „თელასი“	0	
2018	სს „თელასი“	1 (მსუბუქი)	შდ-ს მოთხოვნების დარღვევა გმ 6 კვ სქ 3046 ქსელში დაზიანების განსაზღვრა და ლოკალიზაცია ქსელში
2019	სს „თელასი“	0	
2020	სს „თელასი“	1 (მსუბუქი)	შდ-ს მოთხოვნების დარღვევა გმ 6 კვ სქ ა-2689 საკაბელო ეგხ-ს რემონტიდან გამოყვანა
2021	სს „თელასი“	0	

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2021

თითოეული შემთხვევის მიხედვით შემუშავებული და რეალიზებული იქნა ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ტრავმატიზმის პროფილაქტიკაზე. შრომის დაცვაზე ხარჯებმა 2021 წელს შეადგინა:

	მაჩვენებლები	განზომილების ერთეული	თანხა, დღგ-ს გარეშე 2020წ.	თანხა, დღგ-ს გარეშე 2021წ.
1	დაცვის ინდივიდუალური საშუალებების და ელ.დაცვის საშუალებების შეძენა	ლარი	159.564	129.083
2	წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმებები	ლარი	7.922	32.675
3	მედიკამენტების და ავთიაქების შეძენა	ლარი	2.774	5.375
	სულ	ლარი	170.260	167.133

### სახანძრო უსაფრთხოება

2021 წელს სს „თელასში“ ხანძრები არ დაფიქსირებულა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საზოგადოების ქვედანაყოფებში ხორციელდებოდა პერიოდული შემოწმებები პერსონალის მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის ნაწილში. ანალიზის შედეგების მიხედვით ხორციელდებოდა წესების მოთხოვნებიდან გადახვევების გამოვლენა, პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავება და შესრულება.

საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად ჩატარებული იქნა სასწავლო წვრთნები სს „თელასის“ თანამშრომლების მოქმედების საკითხებში ხანძრის წარმოქმნის დროს საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში.

### სს „თელასის“ ელექტრულ ქსელებზე ტექნოლოგიური მიერთებები 2021წ.

ახალი აბონენტების მიერთების პროექტები საზოგადოების საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. პროექტები გულისხმობს ახალი აბონენტებისთვის ქსელის მოწყობას საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) 18.09.2018 წლის

20 დადგენილების თანახმად. სამუშაოების მოცულობები, მასალების რაოდენობა ახალი მიერთებების პროექტების მიხედვით მთლიანად არის დამოკიდებული მომხმარებლებისგან შემოსულ მოთხოვნებში მითითებულ მოთხოვნილ სიმძლავრეებზე. სემეკ-ის 18.09.2018 წლის 20 დადგენილების საფუძველზე მიერთებაზე განაცხადების შესრულება უნდა განხორციელდეს შეზღუდულ ვადაში (40-დან 90 დღემდე, სიმძლავრიდან გამომდინარე). მიერთებაზე განაცხადის შესრულების ვადების თითოეული დარღვევა იწვევს ჯარიმებს (პაკეტის ღირებულების 50%), რომლებიც შეიძლება აღემატებოდეს მიერთების ღირებულებას.

## სს „თელასის“ წლიური ანგარიში - 2021


2021 წლის განმავლობაში ახალი მომხმარებლებისგან, მომხმარებლებისგან, რომლებმაც მოითხოვეს სიმძლავრის გაზრდა, და არსებული მომხმარებლებისგან შემოვიდა სულ 8898 განაცხადება მიერთებაზე, ჯამური სიმძლავრით 246.2 ათ. კვტ, განხორციელდა მომხმარებლების 6382 ტექნოლოგიური მიერთება ელ. ქსელზე საერთო ჯამური სიმძლავრით 165.5 ათასი კვტ. აქედან, 6364 მიერთება საერთო ჯამური სიმძლავრით 149.4 ათასი კვტ - 0,4 კვ ძაბვაზე (მიერთებების საერთო სიმძლავრის 72%), 18 მიერთება, საერთო ჯამური სიმძლავრით 16.1 ათასი კვტ - 6/10 კვ ძაბვაზე (მიერთებების საერთო სიმძლავრის 28%).

ქვემოთ ცხრილში მოცემულია სრული მიერთებების (ახალი მომხმარებლების განაცხადები და სიმძლავრის გაზრდაზე განაცხადები) რაოდენობა და მიერთებების ფაქტობრივი სიმძლავრე:


	მიერთების ძაბვა	ტექნოლოგიურ მიერთებაზე შეტანილი განაცხადების რ-ბა, ც.		სიმძლავრე ტექნოლოგიურ მიერთებაზე შეტანილი განაცხადების მიხედვით, მვტ		ფაქტობრივი მიერთება, ც.		ფაქტობრივი მისაერთებელი სიმძლავრე, მვტ	
		2020	2021	2020	2021	2020	2021	2020	2021
1	0,4 კვ	7527	8854	149.2	207.9	5737	6364	126.2	149.4
2	6-10 კვ	29	44	29.7	38.3	35	18	48.2	16.1
3	35-110 კვ	1	0	16	0	0	0	0	0
	სულ	7557	8898	194.9	246.2	5772	6382	174.4	165.5

2021 წლის განმავლობაში ახალი მომხმარებლების მიერთების, მომხმარებლების სიმძლავრის გაზრდის შედეგად და არსებული მომხმარებლებისგან ფაქტობრივად დარიცხულმა თანხამ, დღგ-ს ჩათვლით, შეადგინა სულ 19 602 ათასი ლარი, გეგმიურ 29 774 ათასი ლარის ოდენობასთან შედარებით. ჯარიმებმა ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთებების შესრულებაზე სემეკ-ის დადგენილებით განსაზღვრული ვადების დარღვევისთვის შეადგინა 36 ათასი ლარი. 2021 წელს ხარჯებმა ზემოაღნიშნული განაცხადების შესრულებაზე შეადგინა 27 588 ათასი ლარი, გეგმიურ 25 541 ათას ლართან შედარებით. გეგმიდან გადახრამ მიერთებებიდან შემოსავლების ნაწილში გამოწვეულია მიერთებაზე განაცხადების ტიპების შეცვლით (ე.ი. განაცხადების შემოვიდა პაკეტების ნაკლები ღირებულებით, ვიდრე დაგეგმილი იყო).

ტექნოლოგიური მიერთებების დიაგრამა 2020 – 2021 წწ  
მიერთებების ფაქტობრივი სიმძლავრე, ათასი კვტ



სრული მიერთებების რაოდენობა ხელშეკრულებების და ტპ-ს მიხედვით, ც.



საქმიანობა რემონტების სფეროში

სს „თელასის“ ელექტროქსელური მეურნეობის ობიექტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი ხორციელდება საზოგადოების საკუთარი ძალებით, აგრეთვე მოწვეული კონტრაგენტების მიერ.


2021 წელს ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტების საქმიანობის (კაპიტალური და არაკაპიტალური) ფაქტობრივმა დანახარჯებმა შეადგინა 5 485.21 ათასი ლარი, რაც დაგეგმილ ხარჯებზე 851,76 ათასი ლარით ნაკლებია.

მათ შორის ელექტრული ქსელების რემონტზე ფაქტობრივმა ხარჯებმა შეადგინა 4 310.97 ათასი ლარი (მათ შორის სამეურნეო ხერხით 3 527.42 ათასი ლარი, სანარდო ხერხით 783.55 ათასი ლარი), რაც გეგმით გათვალისწინებულზე 689.95 ათასი ლარით მეტია, ხოლო არასაწარმოო სფეროს რემონტების ხარჯებმა შეადგინა ფაქტის შესაბამისად 119.71 ათასი ლარი, გეგმიურ 193.00 ათას ლართან შედარებით.

საანგარიშო პერიოდში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- იზოლატორების შეცვლა ეგხ 6-110 კვ, მოცულობით 234 ც.;
- ეგხ 0.4-110 კვ სადენის შეცვლა, მოცულობით 3,710 კმ;
- სეგხ 6-110კვ ტრასების გაწმენდა, მოცულობით 1,605 ჰა;
- საკაბელო ეგხ 0,4-35 კვ რემონტი, მოცულობით 14 კმ;
- ამომრთველების 35-110კვ რემონტი, მოცულობით 21ც.;
- გამთიშველების 110კვ რემონტი, მოცულობით 47ც.;
- ძალოვანი ტრანსფორმატორების 6-110 კვ რემონტი, მოცულობით 163 ც.;
- გმ 0,4-110 კვ რემონტ, მოცულობით 304 ც.;
- ქს-110(35) და 10(6)კვ შდანპ რემონტი, მოცულობით 55ც.;

რემონტების სტრუქტურა 2021 წ. (კრ+მრ+ტმ)




ელექტრულ ქსელებში ელექტროენერჯის დანაკარგები

2021 წელს საზოგადოების მიერ შესყიდული იქნა 1 360 მლნ კვტ\*სთ ელექტროენერჯია, 31.06.2021წ. მდგომარეობით, შემდგომ ადგილი ჰქონდა კომპანიის საქმიანობის შეცვლა. ქსელში გაშვებამ შეადგინა 2 820 მლნ კვტ\*სთ. მომხმარებლისათვის სასარგებლო გაშვებამ

შეადგინა 2 733 მლნ კვტ\*სთ. სს „თელასის“ ქსელში ელექტროენერჯის ჯამურმა დანაკარგებმა შეადგინა 87 მლნ კვტ\*სთ.

ქსელში გაშვებისას ელექტროენერჯის საერთო დანაკარგებმა ფაქტის მიხედვით შეადგინა 3.09%, გეგმიურთან 6.40% შედარებით.

ქსელებში ელექტროენერჯის შესყიდვის, განაწილების და დანაკარგების დინამიკა



## VII. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- ქსელის გაფართოება მისი გამტარუნარიანობის და ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთების შესაძლებლობის ასამაღლებლად;
- საზოგადოების ელექტრულ ქსელებში ელექტროენერჯის დანაკარგების შემცირება;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება.

სს „თელასის“ ძირითადი მიზნებია საწარმოო აქტივების ტექნიკური მდგომარეობის დონის გაუმჯობესება, ენერგეტიკული ეფექტურობის ამაღლება, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების კონკურენტუნარიანობას, ფინანსურ მდგრადობას მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში, სამრეწველო და ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის პირობით.

ასევე სს „თელასის“ საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია საწარმოო აქტივების უსაფრთხოების, საიმედოობის, მართვადობის და ეფექტურობის დონის ამაღლება თანამედროვე მოწყობილობების, ტექნიკური საშუალებების, ტექნოლოგიური და მმართველობითი პროცესების და ინსტრუმენტების დანერგვის ხარჯზე.

სს „თელასი“ აგრძელებს მოწყობილობების მიმდინარე და კაპიტალური რემონტების განხორციელებას ტმდარ-ს პროგრამის შესაბამისად ძაბვის ყველა კლასის მიხედვით, ასევე ფიზიკურად და მორალურად მოძველებული აღჭურვილობისა და მოწყობილობების შეცვლას (განსაზღვრული ნაწილის), ტექნიკურ გადაიარაღებას და რეკონსტრუქციას: მაღალი ძაბვის ქვესადგურების (35-110კვ), ცვპ (6-10კვ), ეგპ (6-10-35-110კვ), საკაბელო ხაზების (6-10-35კვ), ძალოვანი ტრანსფორმატორების კაპიტალურ რემონტს და ა.შ. 2020 წელთან შედარებით (44,4%) ელექტროქსელური მეურნეობის ცვეთამ შეადგინა 42%. უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს ზეთსავსე ამომრთველების წილმა შეადგინა საერთო რაოდენობის 53,19%,



2020 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 53,8% (ანუ ზეთსავსე ამომრთველების რაოდენობა 2169 ერთეულიდან შემცირდა 2135 ერთეულამდე).

სს „თელასის“ ტექნიკური პოლიტიკის“ შესაბამისად ტექნიკური გადაიარაღების და რეკონსტრუქციის დროს, ძირითადად, გამოიყენება ელეგანური, ელექტრომრავიანი ამპრავების მქონე ვაკუუმური ამომრთველები და სდა-ს ციფრული მიკროპროცესორული მოწყობილობები, გადაძაბვის შემზღვეველები ოქსიდური-თუთიის რეზისტორების საფუძველზე, ელეგანური და საჭაერო იზოლაციებიანი კომპლექტური გამანაწილებელი მოწყობილობები, შეკერილი პოლიეთილენის იზოლაციანი კაბელები და სხვა თანამედროვე ტიპის მოწყობილობები.

სს „თელასი“ აგრძელებს მუშაობს დაბალმომიანი რეზისტორით ნეიტრალის დამიწების პროექტის ფარგლებში, ქსელის საიმედოობის ამაღლების და ავარიული გათიშვების რაოდენობის შემცირების მიზნით. 2021 წლის ბოლოს დასრულდა „დაბალმომიანი რეზისტორის გამოყენებით ნეიტრალის დამიწების“ საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება 7 35/110კვ ქვესადგურისთვის და ამ ქვესადგურების მიმდებარე ცვპ-ებისთვის. ამ პერიოდისთვის ასევე დასრულებულია საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება, ამ პროექტის მიხედვით სამი ქვესადგურისთვის გრძელდება საპროექტო სამუშაოები და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები 2022-2026წ.წ. დამტკიცებული სპრ გეგმის შესაბამისად.

- **შეთანხმება ევროკავშირთან:**

2006 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა დადგენილება №3259 „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“. აღნიშნული დადგენილების რეალიზაციის ფარგლებში შედგენილი იქნა კონკურენტულ (საბითუმო) ბაზარზე გადასვლის გეგმა, რომელიც შეიცავდა ლიბერალიზაციის კონკრეტულ ეტაპებს. გეგმის შესაბამისად გათვალისწინებული იყო მომხმარებლის ეტაპობრივი დაშვება კონკურენტულ ბაზარზე.

2014 წელს ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ასოცირების შესახებ, რომლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ.

ევროკავშირთან შეთანხმება ძალაში შევიდა მას შემდეგ, რაც ევროკავშირის 28 ქვეყანამ ეროვნულ დონეზე მოახდინა ზემოაღნიშნული შეთანხმების რატიფიკაცია (01.07.2016). 2016 წლის 18 ოქტომბერს საქართველომ ხელი მოაწერა ოქმს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შესახებ.

2019 წლის 27 დეკემბერს ძალაში შევიდა 2019 წლის 20 დეკემბრის საქართველოს კანონი 546-რს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“.

აღნიშნული კანონის თანახმად 2020 წლის 16 აპრილს საქართველოს მთავრობამ 246 დადგენილებით მოიწონა და დაამტკიცა ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფცია. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ დაამტკიცა ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრის წესები, ელექტროენერჯის საბალანსო ბაზრის წესები, ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესები. შემუშავების და დამტკიცების ეტაპზეა ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის წესები.

2020 წლის 10 დეკემბერს 75/8 გადაწყვეტილებით სემეკ-თან შეთანხმებული იქნა სს „თელასის“ განცალკევების გეგმა მიმწოდებელ კომპანიად და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორ კომპანიად.

სემეკ-ის 2021 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით 19/1 სს „თელასს“ გადაეცა ლიცენზია ელექტროენერჯის განაწილებაზე.

სემეკ-ის 2020 წლის 16 ივლისს დადგენილებით N39 დამტკიცებული გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების მე-15 და მე-16 მუხლების შესაბამისად, 2021 წლის 7 ოქტომბერს სემეკ-ის სხდომაზე კომისიამ დაამტკიცა საზოგადოების მიერ წარდგენილი სს „თელასის“ შესაბამისობის პროგრამა.

კომპანია და მისი ხელმძღვანელობა არ იმყოფებიან სანქციების ქვეშ. მიმდინარე გეოპოლიტიკური რისკები არ ახდენენ პირდაპირ ზეგავლენას კომპანიის საქმიანობაზე.

### • **საზოგადოების არაპროფილური აქტივები:**

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებით საზოგადოებაში დამტკიცებულია სს „თელასის“ არაპროფილური აქტივების განკარგვის პროგრამა 2021-2023 წ.წ. (სს ოქმი 259, 29.04.2021 წ.), სს „თელასის“ არაპროფილური აქტივების რეესტრი ახალი რედაქციით, ასევე სს „თელასის“ არაპროფილური აქტივების სარეალიზაციო ღონისძიებების გეგმა 2021-2023 წ.წ.

პროგრამა ადგენს საზოგადოების აქტივების არაპროფილური აქტივებისათვის მიკუთვნების კრიტერიუმებს, არაპროფილური აქტივების რეესტრის წარმოების წესს, არაპროფილური აქტივების ღირებულების განსაზღვრის მიდგომებს და არაპროფილური აქტივების გასხვისებასთან დაკავშირებულ ძირითად დებულებებს. არაპროფილური აქტივების მართვის ფარგლებში პროგრამა შეიცავს შემდეგ ძირითად ამოცანებს:

- არაპროფილური აქტივების გამოვლენის წესს;
- არაპროფილური აქტივების რეესტრის ფორმირებას;
- არაპროფილური აქტივების რეალიზაციის ღონისძიებების გეგმის შემუშავებას;
- სარეალიზაციო არაპროფილური აქტივების შეფასების წესს;
- არაპროფილური აქტივების განკარგვის პროგრამის რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენას.

არაპროფილური რეესტრის თანახმად, სს „თელასს“ აქვს როგორც სარეალიზაციო არაპროფილური აქტივები, ისე აქტივები, რომელთა შენარჩუნება დაგეგმილია. სარეალიზაციო არაპროფილურ აქტივებს განეკუთვნება 7 აქტივი სანავარდოს ქ. 7, ასევე არაპროფილური აქტივები 2 ერთეულის რაოდენობით ნაგომარის ქ. 49, რომლებიც განეკუთვნება საზოგადოების დროებით გამოუყენებელ ძირითად საშუალებებს.

შესანარჩუნებელ არაპროფილურ აქტივებს განეკუთვნება 2 აქტივი სანავარდოს ქ. 7.

არაპროფილური აქტივების სარეალიზაციო ღონისძიებების გეგმის თანახმად, არაპროფილური აქტივების რეალიზაციის დასრულება დაგეგმილია 2023 წლის მე-IV კვარტალში.

31.12.2021 წლის მდგომარეობით, სარეალიზაციო არაპროფილური აქტივების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 414, 88 ათას ლარს, ხოლო შესანახი არაპროფილური აქტივების - 16, 18 ათას ლარს.

## **VIII. საზოგადოების ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების სისტემა**

ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები (ემბ) - ეს არის საზოგადოების ან კონკრეტული თანამშრომლის წარმატების ინდიკატორები, რომლებიც შემუშავებულია

საზოგადოების სტრატეგიის საფუძველზე და რომლებიც საზოგადოების ან კონკრეტული თანამშრომლის მუშაობის ეფექტურობის, ასევე საზოგადოების მიზნების რეალიზაციაში მისი წვლილის, სრული შეფასების საშუალებას იძლევა საანგარიშო პერიოდში.

საკონტროლო მაჩვენებლები (სმ) განსაზღვრავს საზოგადოების ან კონკრეტული თანამშრომლის ძირითად საწარმოო ამოცანებს.

სს „თელასისათვის“ ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები და საკონტროლო მაჩვენებლები 2021 წლისთვის დამტკიცდა სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს 24.02.2021წ. გადაწყვეტილებით (სს-ს ოქმი №248, 24.02.2021 წ.) საზოგადოების საქმიანობის მართვის და კონტროლის ფუნქციების სრულყოფის მიზნით.

სს „თელასის“ გენერალური დირექტორის 08.07.2021 წ. №446 ბრძანებით დირექტორებისთვის დამტკიცდა ინდივიდუალური ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების (ემმ) და საკონტროლო მაჩვენებლების (სმ) რუკები.

სს „თელასის“ მიზნების რუკაში 2021 წელს შედის ისეთი ემმ-ები, როგორებიცაა:

ემმ 1. EBITDA 2021 წლის ბიზნეს-გეგმის მნიშვნელობიდან;

ემმ 2. საინვესტიციო პროგრამის შესრულება;

ემმ 3. საოპერაციო ფულადი ნაკადი 2021 წლის ბიზნეს-გეგმის მნიშვნელობიდან;

ემმ 4. ფულადი სახსრების გადახდის დონის უზრუნველყოფა, 2021 წლის დამტკიცებული ბიზნეს-გეგმის თანახმად;

ემმ 5. ელექტროენერჯის დანაკარგები 2021 წლის ბიზნეს-გეგმის მნიშვნელობიდან.

საკონტროლო მაჩვენებლები (სმ):

სმ 1. ავარიების (წონა 40%) ან უბედური შემთხვევების (წონა 30%) არარსებობა ან ტრავმატიზმის სიხშირის კოეფიციენტის (წონა 30%) შესრულება;

სმ 2. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მუშაობისათვის მზადყოფნის პასპორტის მიღება (არსებობა);

სმ 3. საანგარიშგებო და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვა და კორპორაციული ღონისძიებების გეგმის შესრულება;

სმ 4. სსს „ინტერ რაო“-ს შიდა აუდიტის ბლოკის მიერ გეგმიური და არაგეგმიური შემოწმების შედეგების მიხედვით არსებითი შენიშვნების არარსებობა;

სმ 5. საზოგადოებაში საინფორმაციო რესურსის და სტ ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების დარღვევის მნიშვნელოვანი ფაქტების არარსებობა.

## IX. საინვესტიციო საქმიანობა

2021 წელს საზოგადოებამ განახორციელა ინვესტიციები კაპიტალდაბანდების ფორმით შემდეგი მოცულობით:

	მუხლების დასახელება	
1	დაფინანსება, ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით	41 712
2	ათვისება, ათასი ლარი დღგ-ს გარეშე	43 233
3	ძს-ში შეყვანა, ათასი ლარი დღგ-ს გარეშე	43 893

ინვესტიციები განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

- 2021 წელს ინვესტირების ძირითადი მიმართულება იყო ახალი აბონენტების გამანაწილებელ ქსელზე ტექნოლოგიური მიერთებები. 2021 წელს დამუშავებული იქნა 6382 განაცხადი საერთო სიმძლავრით 166 მვტ;

- ქსელური მეურნეობის საიმედო და უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა ინვესტიციები ქვესადგურების „ბაგები“, „ავშიანი“, „სოლოლაკი“, „მთაწმინდა“, ცგპ 4060, საკაბელო და საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების რეკონსტრუქციასა და მოდერნიზაციაში;

- გარდა ამისა ჩატარებული იქნა ქვესადგურში დილომი-1 ძალოვანი ტრანსფორმატორის 1 კაპიტალური რემონტის სამუშაოები, ასევე განხორციელდა ინვესტიციები გამანაწილებელი ქსელის კაპიტალურ რემონტებში.

**მომდევნო 5 წლის განმავლობაში საზოგადოებას დაგეგმილი აქვს ინვესტიციები შემდეგი მიმართულებებით:**

- ინვესტირების ძირითადი მიმართულებაა ახალი აბონენტების გამანაწილებელ ქსელზე ტექნოლოგიური მიერთებები. მოცემული სამუშაოების შესრულება სავალდებულოა საკანონმდებლო დონეზე;

- ქსელური მეურნეობის ფუნქციონირების საიმედოობის და უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით ყოველწლიურად ხორციელდება ინვესტიციები ქვესადგურების, საკაბელო და საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების რეკონსტრუქციასა და მოდერნიზაციაში.

გარდა ამისა, ყოველწლიურად საჭიროა ინვესტიციები გამანაწილებელი ქსელის კაპიტალურ რემონტებში.

## X. შესყიდვების საქმიანობა

შესყიდვების საქმიანობის განხორციელებისას საზოგადოება ხელმძღვანელობს შემდეგი ნორმატიული დოკუმენტებით:

- სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს 30.07.2021 წ. გადაწყვეტილებით (სს-ს ოქმი N256, 30.07.2021წ.) დამტკიცებული დებულებით სს „თელასის“ საჭიროებისათვის საქონლის, სამუშაოების და მომსახურების რეგლამენტირებული შესყიდვების ჩატარების წესის შესახებ;

- სს „თელასის“ 21.07.2021 წლის №481 ბრძანებით დამტკიცებული, სს „თელასის“ შწკპ-ს ფორმირების, კორექტირების და შესრულების კონტროლის ბიზნეს-პროცესის რეგლამენტით;

- სს „თელასის“ 29.03.2021 წლის 176 ბრძანებით დამტკიცებული, სს „თელასის“ ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს მუშაობის ბიზნეს-პროცესის რეგლამენტით.

საზოგადოების 2021 წლის შესყიდვების წლიური კომპლექსური პროგრამა შეიცავს შესყიდვებს 446 ლოტის მიხედვით ღირებულებით 138 767,81 ათასი ლარი. 2021 წლის შედეგების მიხედვით შწკპ-ს შესრულების მოცულობა (ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს ოქმების/ერთპიროვნული საშემსრულებლო ორგანოს გადაწყვეტილებების შესაბამისად შწკპ-ში ცვლილებების შეტანის გათვალისწინებით) ღირებულების მიხედვით შეადგენს - 56,9%, ხოლო რაოდენობის მიხედვით - 91,7%.



შესს ფუნქციონალის დანერგვასთან დაკავშირებით დამატებით ჩატარებულია სამუშაოები შესყიდვების პროცედურების ჩატარების ანგარიშგების და ფაქტობრივი ასახვის ნაწილში.

2021 წელს ჩატარებული იქნა რეგლამენტირებული საკონკურსო და არასაკონკურსო შესყიდვები 412 ლოტზე.

*ინფორმაცია შესყიდვების ჩატარებული პროცედურების შესახებ გამარჯვებულის არჩევით 2021წ.*

შესყიდვების რაოდენობა		გამარჯვებულთა რაოდენობა	
მტრ	სამუშაოები/მომსახურება	სამუშაოები/მომსახურება	მტრ
257	155	257	155

**XI. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკების აღწერილობა.**

2021 წლის 1 ივლისამდე სს „თელასის“ საქმიანობის ძირითად სახეობა იყო მომხმარებელთა ელექტროენერგიით მომარაგება და ქსელური მომსახურების გაწევა (ელექტროენერგიის გადაცემა) ქ. თბილისში. 2021 წლის 01 ივლისიდან განხორციელდა ენერგოკომპანიის მიწოდების და განაწილების ფუნქციების განცალკევება, შესაბამისად, სს „თელასის“ საქმიანობის ძირითადი სახეობა გახდა ქსელური მომსახურების გაწევა (ელექტროენერგიის გადაცემა) ქ. თბილისში. ძირითადი რისკები, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე ამ მიმართულებით, შემდეგია:

**ძირითადი რისკები:**

**დარგობრივი რისკები.** დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფოს მიერ ტარიფების დაუსაბუთებელი რეგულირება და რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის (სემეკი) მიერ ისეთი ტარიფების შესაძლო დამტკიცებასთან, რომელიც არ ფარავს საზოგადოების ხარჯებს. კომპანიაში ტარდება გეგმაზომიერი მუშაობა სემეკ-თან ამ რისკის წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით. 2021 წლის 1 იანვრიდან სემეკ-ის 2020 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით N83 (საშუალო ზრდამ შეადგინა 43%) გაიზარდა რეალიზაციის ტარიფები. მოცემული ტარიფები მოქმედებდა 2021 წლის 1 ივლისამდე.

2020 წლის 16 აპრილს საქართველოს მთავრობამ დადგენილებით 246 დაამტკიცა ელექტროენერგიის ბაზრის კონცეფცია (ბაზრის კონცეფცია): 2021 წლის 1 ივლისიდან განხორციელდა ენერგოკომპანიის მიწოდების და განაწილების ფუნქციების განცალკევება, რის შედეგადაც კომპანიაზე აღარ მოქმედებს ელექტროენერგიის შესყიდვაზე ფასების არახელსაყრელი რყევები, ვინაიდან კომპანია დაკავებულია მხოლოდ განაწილების საქმიანობით შესაბამისი მარჟის გამოყენებით. 2021 წლის 1 ივლისიდან სემეკის 2021 წლის 29 ივნისის დადგენილებით 27 დადგენილი იქნა სს „თელასის“ განაწილების ტარიფები.

**ქვეყნის და რეგიონალური რისკები.** ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის,

საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან. საანგარიშო პერიოდში საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებას, რომელმაც სს „თელასის“ ფინანსურ მდგომარეობაზე ჰქონდა ზეგავლენა, წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის თანახმად კომპანია იბეგრება მოგების გადასახადით დივიდენდების სახით მოგების განაწილების შემთხვევაში.

ქ. თბილისის ეკონომიკური განვითარება, რაც ზემოქმედებას ახდენს სს „თელასის“ ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობასა და ოპერაციების რენტაბელურობაზე, ძირითადად ხელსაყრელია.

შესაძლო სამარ კონფლიქტებთან, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და გაფიცვებთან დაკავშირებული რისკები რეგიონში არ არსებობს.

**ფინანსური რისკები.** თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლარის მიმართ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში:

თვე	გეგმა	ფაქტი
იანვარი	3.13	3.3026
თებერვალი	3.13	3.3255
მარტი	3.20	3.4118
აპრილი	3.22	3.4503
მაისი	3.22	3.2779
ივნისი	3.24	3.1603
ივლისი	3.25	3.1244
აგვისტო	3.25	3.1170
სექტემბერი	3.29	3.1228
ოქტომბერი	3.29	3.1601
ნოემბერი	3.29	3.0867
დეკემბერი	3.34	3.0976

**პროცენტული განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები.** შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საზოგადოება ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

**საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები.** საზოგადოების ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა.



**გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკი.** გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს სს „თელასის“ ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, აქციონერების და სხვა კონტრაგენტების წინაშე სს „თელასის“ მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

**სამართლებრივი რისკები.** სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

**მდგრადი განვითარების სფეროში მიზნების არმიღწევის რისკი:**

**გარემოზე ზემოქმედების რისკი.** ძირითადი ფაქტორია მიზნების მიუღწევლობის რისკის მდგრადი განვითარების სფეროში „ბრძოლა კლიმატის ცვლილებასთან“, რაც დაკავშირებულია ნარჩენების არასწორ მართვასთან.

**რისკი, რომელიც გავლენას ახდენს სოციალურ სფეროზე.** მიზნების მიუღწევლობა მდგრადი განვითარების, ღირსეული მუშაობის და ეკონომიკური ზრდის სფეროში წარმოადგენს რისკის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, რომელსაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის უფლებებზე. თანამშრომლებისთვის სამუშაო პირობების გაუარესება, საშუალო ხელფასის შემცირება, რაც იზომება „საშუალო თვიური შაფ-ი საშუალო სიით რიცხოვნების 1 მუშაკზე“ მაჩვენებლით, თანამშრომლების უცვლელი რაოდენობის და ტრავმატიზმის მაჩვენებლის ზრდის არსებობა, წარმოადგენს რისკის შედეგებს და შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს სს „თელასის“ საოპერაციო საქმიანობაზე.

**რისკი, რომელიც ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე.** ინდუსტრიალიზაციის, ინოვაციების და ინფრასტრუქტურის სფეროში მიზნების მიუღწევლობის რისკმა შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს სს „თელასის“ ეკონომიკურ საქმიანობაზე, აქედან გამომდინარე გაუარესდება აბონენტების მომსახურების ხარისხი, შესაძლებელია მარეგულირებლის მხრიდან შენიშვნის მიღება და საჯარიმო სანქციების დაკისრება ქსელზე დაგვიანებით მიერთებისთვის.

**რისკების და მათი ფაქტორების შესამცირებლად საზოგადოების მიერ განხორციელებული მოქმედებები და მიღებული ზომები გულისხმობს რისკებისა და მდგრადი განვითარების მიზნებისთვის ღონისძიებების ჩატარებას, შესაბამისად:**

– ISO სერტიფიკატის ყოველწლიური განახლება გარე საერთაშორისო აუდიტორების მიერ;

- გრეიდების გადახედვა;
- იმდ-ს გადასინჯვა;
- ბავშვის მოვლასთან დაკავშირებით გაზრდილი დამატებითი შესვენება;
- სადეკრეტო შვებულების სრული გადახდა;
- ქალი-თანამშრომლებისთვის 8 მარტის საჩუქრები;
- იდს საკმარისი რაოდენობის შესყიდვა;
- ელექტროქსელში მომუშავე ბრიგადების ყოველდღიური შემოწმება;
- პერსონალისთვის დროული და ხარისხიანი საკვალიფიკაციო გამოცდების

ჩატარება;

– ელექტროქსელში მომუშავე თანამშრომლების დროული სამედიცინო გამოკვლევის კონტროლი;

– სს „თელასის“ გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთება მოთხოვნილი სიმძლავრეების მიხედვით, სემეკ-ის 2021 წლის 28 ივნისის დადგენილების N19 შესაბამისად;

– ახალი ქსელის მშენებლობა და ქსელის განვითარება გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლების მისაერთებლად.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან (სემეკი) და თბილისის ადმინისტრაციასთან დამყარებული კონსტრუქციული ურთიერთობები, განვითარებული ელექტროქსელური ინფრასტრუქტურის არსებობა, ელექტროენერჯის სამომხმარებლო ბაზრის კარგი ცოდნა, საზოგადოების დადებითი საკრედიტო ისტორია, მაღალკვალიფიციური პერსონალი, ხარჯების მართვის გამოცდილება, საინვესტიციო პროგრამების დაფინანსების გამოცდილება საზოგადოებას აძლევს საშუალებას განახორციელოს თავისი საქმიანობა ელექტროენერჯეტიკისათვის წაყენებული თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

„ინტერ რაო“-ს ჯგუფის კომპანიებში რისკების მართვის და შიდა კონტროლის სამუშაოების ორგანიზებისა და სტანდარტიზაციის მიზნით, შეტანილი იქნა ცვლილებები რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემის მუშაობაში, რომლის ფარგლებშიც დანერგილი იქნა ახალი შიდა ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც შეეხება რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემას.

## **XII. საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო რისკების, ლიკვიდურობის და ფულადი სახსრების რისკები და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ**

### **საკრედიტო რისკი**

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს მოთხოვნილი თანხების დადგენილ ვადაში სრულად გადახდას. ფინანსური აქტივები, რომლებთან დაკავშირებითაც კომპანიას წარმოექმნება პოტენციური საკრედიტო რისკი, წარმოდგენილია ძირითადად სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებით, რესტრუქტურისებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებით, ასევე ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით. კომპანია წარმოადგენს მონოპოლისტს ქ. თბილისში და მისი საქმიანობის რეგულირება ხორციელდება განსაზღვრული დებულებებით, ამიტომ საიმედო მომხმარებლების შერჩევასთან დაკავშირებით კომპანიის შესაძლებლობები შეზღუდულია. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, რესტრუქტურისებული დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება გაუფასურების რეზერვის, ასევე ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გამოკლებით, წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების დაფარვის ტემპები დამოკიდებულია ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებაზე, კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ არ

არსებობს დებიტორული დავალიანების ღირებულების შემცირებისთვის შექმნილ რეზერვის თანხაზე მეტი თანხის დანაკარგის არსებითი რისკი.

კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკის არსებითი კონცენტრაცია, რადგან მისი პორტფელი დივერსიფიცირებულია დიდი ოდენობის საყოფაცხოვრებო და კომერციული მომხმარებლებით.

ზედმეტი ნაღდი ფული თავსდება ფინანსურ დაწესებულებებში, კონტრაგენტი ბანკების შერჩევის მოქმედი კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებულია სს-ს 2017 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით (სს ოქმი N191) და რომელთაც თანხების განთავსების მომენტისთვის გააჩნიათ დეფოლტის მინიმალური რისკი.

**საბაზრო რისკი**

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები ძირითადად უკავშირდება კომპანიისთვის დადგენილ ტარიფებს (ტარიფი განაწილებაზე). მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ზოგიერთი ტარიფის დადგენაზე, ტარიფების დონეების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებები მიიღება მისი მონაწილეობის გარეშე.

ამასთან, კომპანიას გააჩნია ღია პოზიციები საპროცენტო განაკვეთებსა და სავალუტო ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომლებიც ექვემდებარება ბაზრის საერთო და სპეციფიური რყევების ზემოქმედებას.

სავალუტო რისკი წარმოიქმნება ვალუტის კურსების ცვლილების ზეგავლენით ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების შესაძლო ცვლილების შედეგად. კომპანია ექვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების ცვლილებებს, რაც ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებული ბაზრის არარსებობიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას არ გააჩნია საშუალება მოახდინოს კომპანიის სავალუტო რისკის ჰეჯირება.

კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში გამოსახული, შემდეგი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დოლარებში	2020 (ათასი ლარი)	2021 (ათასი ლარი)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	180	255
პროცენტოანი კრედიტები და სესხები	(231)	-
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	(11)	(3,167)
საიჯარო ვალდებულებები	(1 669)	(1,522)
<b>ნეტო-პოზიცია 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>(1 731)</b>	<b>(4,434)</b>

სხვა ვალუტაში გამოსახული თანხები და სავალუტო კურსების შესაბამისი ცვლილებები უმნიშვნელოა რისკის ანალიზის მიზნებისთვის.

**ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკის მართვის სათანადო პრაქტიკა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და ფინანსირებას ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების საჭირო მოცულობით უზრუნველყოფის მეშვეობით. კომპანიის მოკლევადიანი

ვალდებულებების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების წინაშე. ხელმძღვანელობის აზრით, ეს კომპანიას აძლევს საკმარის მოქნილობას მათი დაფარვის ვადებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მისი ბიზნესის ადეკვატურ ლიკვიდურობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

### **XIII. შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემის მიმოხილვა, ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებით**

შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან, როგორცაა:

1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების უზრუნველყოფის კონტროლი, რომელიც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:

**არსებობა და წარმოქმნა** – აქტივები, ვალდებულებები და საკუთრების უფლებები არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდში;

**სისრულე (დროულობა)** – ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება აღნიშნული პერიოდისთვის მიკუთვნებას, ფაქტობრივად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებში და ფინანსურ ანგარიშგებაში;

**უფლებები და მოვალეობები** – საზოგადოებას უფლება აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე;

**შეფასება და განაწილება** – ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

**სიზუსტე** – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი თანხებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;

**წარდგენა და ინფორმაციის გახსნა** – ფინანსური ანგარიშგების მუხლები სათანადოდ აღწერილი, კლასიფიცირებული და გახსნილია.

2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორცაა მაგალითად, გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსური ანგარიშგების არასარწმუნოებაზე.

3. მონაცემების უტყუარობის შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროს შორის წინააღმდეგობის არარსებობის კონტროლი, თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით (ფინანსური ანგარიშგების მუხლები კონტრაგენტებთან/სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან).



### XIV. ანგარიში საზოგადოების აქციების მიხედვით გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ

საზოგადოების წესდების შესაბამისად (მუხლი 6, პუნქტი 6.3 ქვეპუნქტი 3) აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ საზოგადოების მიერ გამოცხადებული დივიდენდები.

2021 წელს, საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად, 2020 ფინანსური წლის შედეგების მიხედვით დივიდენდების გადახდა არ მომხდარა.

	გასული წლების მოგებიდან (გადახდილია 2017წ.)	2017 წ. შედეგების მიხედვით	2018 წ. შედეგების მიხედვით	2019 წ. შედეგების მიხედვით	2020 წ. შედეგების მიხედვით
დივიდენდების საერთო თანხა	20 000 000 ლარი	-	-	-	-
დივიდენდების ოდენობა ერთ ჩვეულებრივ აქციაზე	0.18 ლარი	-	-	-	-
დივიდენდების შემოსავლიანობა ჩვეულებრივი აქციების შესაბამისად	0.18 ლარი	-	-	-	-


### V. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა

სს „თელასის“ საწესდებო კაპიტალი შეადგენს 112 429 418 ლარს და დაყოფილია 112 429 418 ჩვეულებრივ აქციად, რომელთა ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი თითოეული.

სააქციო კაპიტალის საერთო სტრუქტურა, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგნაირია:

ფასიანი ქაღალდების კლასი	ბენეფიციარი მესაკუთრის დასახელება/სახელი, გვარი და მისამართი	საკუთრებაში არსებული თანხა და საკუთრების მფლობელობის სახეობა	საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების კლასების პროცენტული შემადგენლობა
ჩვეულებრივი აქცია	<b>Silk Road Holdings B.V.</b> (ნიდერლანდი)	84 443 957 აქცია საერთო თანხით 84 443 957.00 ლარი	75.108
ჩვეულებრივი აქცია	<b>შპს „ბესტ ენერჯი გრუპი“</b>	27 577 837 აქცია საერთო თანხით 27 577 837.00 ლარი	24.529
ჩვეულებრივი აქცია	<b>დანარჩენი აქციონერები</b>	407 624 აქცია საერთო თანხით 407 624.00 ლარი	0.363
<b>სულ</b>		<b>112 429 418 აქცია</b>	<b>100</b>

სააქციო კაპიტალის სტრუქტურა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



## XVI. აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

აქციონერების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში.

საზოგადოების აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში, პირველ რიგში აქციონერთა კრებაზე მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით.

საზოგადოების აქციონერებს გააჩნიათ შეუზღუდავი დაშვება საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აქციონერებთან დაკავშირებით ინფორმაციული პოლიტიკა ხორციელდება წარსადგენი ინფორმაციის სისრულის, ოპერატიულობის, ობიექტურობის და უტყუარობის გათვალისწინებით. საზოგადოება აქციონერებს უზრუნველყოფს წესდების 6.3 პუნქტის მე-4 ქვეპუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებთან დაშვებით. აქციონერთა მოთხოვნის საფუძველზე საზოგადოება ვალდებულია წარუდგინოს მათ წესდების 20.4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების ასლები.

აქციონერებს უფლება აქვთ თავისუფლად განკარგონ საკუთარი აქციები მოქმედი კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად. აღრიცხვის სისტემა უზრუნველყოფს აქციებზე საკუთრების უფლებების აღრიცხვის საიმედოობას, ასევე აქციონერების კუთვნილი აქციების თავისუფლად და სწრაფად გასხვისების შესაძლებლობას. საზოგადოების აქციებზე აქციონერის საკუთრების უფლებების ნებისმიერი დარღვევისგან დაცვა ხორციელდება დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ აქციონერთა რეესტრის წარმოებით და შენახვით.

აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს. საკუთარი საქმიანობის წარმართვისას აქციონერთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, საზოგადოების წესდებით, აქციონერთა საერთო კრების შესახებ დებულებით და საზოგადოების პოლიტიკით დივიდენდების შესახებ.



გადაწყვეტილებას დივიდენდების გადახდის (გამოცხადების) შესახებ, მათ შორის გადაწყვეტილებას დივიდენდების ოდენობასა და მისი გადახდის ფორმის შესახებ ყველა კატეგორიის (ტიპის) მიხედვით, იღებს საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება. საზოგადოება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდაზე, მოგების არარსებობისას, დაუშვებელია ასევე დივიდენდების გაცემა იმ ოდენობით, რომელიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებს.

საზოგადოების აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე სავალდებულო წესით განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის, საზოგადოების აუდიტორის დამტკიცების, საზოგადოების წლიური ანგარიშის, წლიური ფინანსური ანგარიშგების, მათ შორის საზოგადოების მოგება-ზარალის ანგარიშის (მოგების და ზარალის ანგარიშები) დამტკიცების, ასევე საზოგადოების მოგების (მათ შორის დივიდენდების გადახდა (გამოცხადება) და ზარალის ფინანსური წლის შედეგების მიხედვით განაწილების შესახებ საკითხები.

## **XVII. კორპორაციული მართვა. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა**

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს სს „თელასის“ საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას.

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2020 წლის მუშაობის შეჯამებისას, აღსანიშნავია, რომ 2021 წლის განმავლობაში ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 19 სხდომა, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებსაც არსებითი გავლენა ჰქონდა საზოგადოების საქმიანობაზე საანგარიშო წელს, შემდეგია:

1. საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები;

2. გადაწყვეტილებები, რომლებიც განსაზღვრავს საზოგადოების ფინანსურ-ეკონომიკურ პოლიტიკას (საზოგადოების 2021 წლის ბიზნეს-გეგმის, საინვესტიციო პროგრამის და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების დამტკიცება).

საზოგადოების წესდების და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია 6 ადამიანით.

აქციონერთა წლიური საერთო კრების გადაწყვეტილებით (14.05.2021წ. ოქმი), საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეული იქნენ:

### ***ვოლკოვი დიმიტრი ევგენის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე***

დაბადების წელი: 1969

ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება

სამუშაო ადგილი: სსს „ინტერ რაო“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: სსს „ინტერ რაო“-ს

ცენტრალურ აზიასა და ამიერკავკასიაში აქტივების მართვის ბლოკის ხელმძღვანელი

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 28.03.2013

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

*გელენიძე ზურაბ გივის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*

დაბადების წელი: 1975

ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება

სამუშაო ადგილი: CBS group LLC.

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: CBS group LLC-ს

გენერალური დირექტორის მოადგილე.

მოქალაქეობა: საქართველო

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 30.06.2020

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

*აბრამკოვი ალექსანდრ ევგენის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი*

დაბადების წელი: 1977

ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება

სამუშაო ადგილი: ბანკი (სს)

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გამგეობის

თავმჯდომარის მრჩეველი

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 08.02.2017

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

*სამარინი სერგეი ვალენტინის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი*

დაბადების წელი: 1973

ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება

სამუშაო ადგილი: სსს „ინტერ რაო“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: სსს „ინტერ რაო“-ს

საწარმოო საქმიანობის ბლოკის ტექნიკური პოლიტიკის დეპარტამენტის წარმოების

განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 14.05.2018

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

*მახოვი იური ვასილის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი*

დაბადების წელი: 1974

ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება

სამუშაო ადგილი: სს „ობორონენერგოს“ ჩრდილო-დასავლეთის ფილიალი

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: ელექტროენერჯის

ტრანსპორტირების ფილიალის დირექტორის მოადგილე, სს ობორონენერგოს ჩრდილო-

დასავლეთის ფილიალი

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 30.06.2020

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

*ღურჯკაია კობა აბესალომის ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი*

დაბადების წელი: 1977

ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება

სამუშაო ადგილი: CBS group LLC.

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: CBS group LLC-ის გენერალური დირექტორი.

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 14.05.2021

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

14.05.2021 წ-მდე საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ასევე შედიოდა:

*ჩიქოვანი გიორგი ზაზას ძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი*

დაბადების წელი: 1977

ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება

სამუშაო ადგილი: საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის დირექტორი

მოქალაქეობა: საქართველო

სამეთვალყურეო საბჭოში პირველად იქნა არჩეული: 13.05.2019

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

2021 წლის განმავლობაში სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს აქციებთან დაკავშირებით გარიგება არ განუხორციელებიათ.

## VIII. საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობა

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს გენერალური დირექტორი. კოლევიალური აღმასრულებელი ორგანო არ არის გათვალისწინებული.

სამეთვალყურეო საბჭოს 28.03.2013 წლის გადაწყვეტილებით (ოქმი 94, 28.03.2013 წ.) 2013 წლის 1 აპრილიდან სს „თელასის“ გენერალურ დირექტორად არჩეულია კობცევი სერგეი ნიკოლაის ძე.

*კობცევი სერგეი ნიკოლაის ძე - გენერალური დირექტორი*

დაბადების წელი: 1972

ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება

სამუშაო ადგილი: სს „თელასი“

თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გენერალური დირექტორი

მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია

გენერალური დირექტორის თანამდებობაზე პირველად დაინიშნა: 01.04.2013

საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი, რომელიც ეკუთვნის პირს: 0%

2021 წლის განმავლობაში სს „თელასის“ გენერალურ დირექტორს აქციებთან დაკავშირებით გარიგება არ განუხორციელებია.

### XIX. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის გადახდილი ანაზღაურების განსაზღვრის კრიტერიუმები და ოდენობა 2021 წ.

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება აქციონერთა 2009 წლის 11 მარტის საერთო კრებაზე დამტკიცებული სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების და კომპენსაციების გადახდის შესახებ დებულების საფუძველზე.

2021 წლის შედეგების მიხედვით ანაზღაურება შეადგენდა:

	გვარი, სახელი	ყველა ანაზღაურების ერთიანი ოდენობა, რომელიც გადახდილი იქნა 2021 წელს (ლარი)
1	ვოლკოვი დიმიტრი	-
2	აბრამკოვი ალექსანდრე	11 455.92
3	სამარინი სერგეი	-
4	მახოვი იური	11 455.92
5	გელენიძე ზურაბი	11 455.92
6	ღურჭკაია კობა	6 592.18
7	ჩიქოვანი ზაზა	4 508.75
	<b>სულ:</b>	<b>37 837.96</b>

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა ვოლკოვმა დ.ე. და სამარინმა ს.ვ. უარი თქვეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებში მონაწილეობის ანაზღაურებაზე.

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების და კომპენსაციის გადახდის შესახებ დებულება ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების გადახდას სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაში მონაწილეობისთვის მისი ჩატარების ფორმის მიუხედავად და ასევე დამატებითი ანაზღაურების გადახდას აქციონერთა საერთო კრების მიერ დივიდენდების გადახდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ფინანსური წლის შედეგების მიხედვით.

### X. საზოგადოების რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემა

საზოგადოებაში ფუნქციონირებს რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემა (რმდაშკს), რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან ბიზნეს-პროცესებს, საქმიანობის

მიმართულებებს და მართვის დონეებს. პრინციპები და მიდგომები, რომლებითაც საზოგადოება ხელმძღვანელობს რისკების მართვის და შიდა კონტროლის სფეროში, შემდეგია: ფუნქციონირების მთლიანობა, უწყვეტობა, ადაპტიურობა, მეთოდოლოგიური ბაზის ერთიანობა, პასუხისმგებლობა და უფლებამოსილებების გამიჯვნა, პრიორიტიზაცია და გონივრული საკმარისობა, დროულობა და აღკვეთა, კორუფციასთან და თაღლითობასთან ბრძოლა და შესაბამისობის უზრუნველყოფა.

სს „თელასის“ რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემა (შემდგომ - რმდამკს), რომელიც მოქმედებდა 2021 წლის განმავლობაში, წარმოადგენდა „ინტერ რაო“-ს ჯგუფის რისკების მართვის და შიდა კონტროლის კორპორაციული სისტემის ნაწილს.

